ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და ვლეხთა მთავრობისა.

1931 წლის მარტის 15.	№ 5 ვანყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 49. ა/კსფსრ სატყეო მეურნეობის შესახებ.
„ 50. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის მე-5 და 34 მუხლების შეცვლის შესახებ.
„ 51. ახალი მშენებლობისა და კაპიტალური რემონტისათვის, აგრეთვე პირვანდელი და დამატებითი გაწყობილობისათვის ხარჯთაღრიცხვებში პარაგრაფებსა და მუხლებს შუა კრედიტების გადატან-გადმოტანის შესახებ.
„ 52. შრომის კანონთა კოდექსის 34[16] მუხლის შეცვლისა და ამავე კოდექსისათვის 68[1] მუხლის დამატების შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

„ 53. 1931 წელს ბამბის კონტრაქტაციის შესახებ.
„ 54. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ქიმიზაციის კომიტეტის გაუქმების შესახებ.
„ 55. შეშა-ხეტყის დამზადების სადამკვრელო თვიურის ჩატარების ვადის 1931 წლის აპრილის 1-მდე განგრძობის შესახებ.
„ 56. რესპუბლიკანური და ადგილობრივი საგზაო ორგანოების ძირითადი ფუნქციების შესახებ.
„ 57. ა/კსფსრ გზატეხილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

49. ა/კსფსრ სატყეო მეურნეობის შესახებ.

„სსრკ-ის სატყეო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის ორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 3-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 45 №-ი, მუხ. 465) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. თავმოყრილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში მთლად ა/კსფსრ სატყეო მეურნეობისა და სატყეო მრეწველობის დაგეგმვისა და მოწესრიგების საქმე და აგრეთვე სატყეო მეურნეობის მმართველობა, საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამოკლებით.

2. გადაეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს:

ა) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ყველა სახელმწიფო სატყეო ფონდი, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებისა და რესპუბლიკანური ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების გამგებლობაში ქონებული საკურორტო ტყეების გამოკლებით;

ბ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების ის აპარატები, რომელნიც აღნიშნულ ტყეებს განაგებენ, და მათი ადგილობრივი ორგანოები მთელი ქონებით და კრედიტებით;

გ) სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევო, სასწავლო და საცდელი დაწესებულებები და ორგანიზაციები იმ სიის მიხედვით, რასაც წარმოადგენს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო—ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით—და დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

3. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს:

ა) გამოჰყოს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ტყეებიდან (საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გარდა) უაღრესი დაცვითი მნიშვნელობის ნაკვეთები და აწარმოოს ამ ნაკვეთებზე განსაკუთრებული მეურნეობა;

ბ) შეიმუშაოს და წარუდგინოს, ერთი თვის ვადაზე, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ინსტრუქცია დაცვითი ნაკვეთების გამოყოფისა და მათზე მეურნეობის წარმოების შესახებ.

4. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა როგორც ხეტყის დამზადების გეგმებს, ისე ტყეების აღდგენის სამუშაოთა გეგმებს ამტკიცებდეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ ამ გეგმების განხილვის შემდეგ.

5. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა, ტყეების აღდგენის მუშაობისათვის კონტროლისა და მეთვალყურეობის გასაწევად, ა/კსფსრ შედგენილობაში შემა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებთან მოეწყოს სპეციალური უჯრედები, რომელთაც არ ექნებათ ოპერატიული ფუნქციები და უფლება ჩაერიონენ ხეტყის დამზადებელი ორგანიზაციების სამეურნეო განკარგულებაში.

6. დაეკალოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გააფორმოს, ორი დეკადის ვადაზე, სპეციალური ხელშეკრულებებით გზათა სახალხო კომისარიატის ამიერკავკასიის სარაიონო სატყეო სამმართველოსათვის ტყის ნაკვეთების მიჩენა „ტრანსპორტის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ხეტყის დამზადების შესახებ“ გამოცემული ზრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წ. იანვრის 20-ის თარიღისა და 34 №-ის დადგენილების შესაბამისად.

7. რადგანაც ა/კსფსრ მთელი სახალხო მეურნეობისათვის სატყეო მეურნეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, დაეკალოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უზრუნველჰყოს მისთვის გადაცემულ ტყეებში სატყეო მეურნეობის ნორმალური წარმოება—რაციონალურ ექსპლოატაციაზე დაყრდნობით—და აგრეთვე საჭირო საამდგენო სამუშაოები.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შეიტანოს, ორი დეკადის ვადაზე, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში პროექტი დადგენილებისა ა/კსფსრ კანონმდებლობის ამა დადგენილების შესაბამისად შეცვლის შესახებ.

9. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეიტანონ ერთი თვის ვადაზე თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

10. დადგენილება ესე გამოქვეყნებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. მარტის 4.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 63 №-ში 1931 წ. მარტის 6-.ს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

50. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის მე-5 და 34 მუხლების შეცვლის შესახებ.

„მუშა-ძალის დაქირავებისა და განაწილების და მუშა-ძალის დენადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 60 №-ი, მუხ. 641) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის მე-5 და 34 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„5 ყველა საწარმო, დაწესებულება, მეურნეობა და კერძო პირი მოვალეა მუშა და მოსამსახურე დაიქირაოს მხოლოდ შრომის ორგანიების მეშვეობით.

შრომის ორგანიების გარეშე ნებადართულია დაქირავება:

ა) პასუხისმგებელი ადმინისტრატიულ-ტეხნიკური მომუშავისა და სპეციალისტისა;

ბ) ისეთი მომუშავისა, რომელიც ერთი საწარმოდან, დაწესებულებიდან თუ მეურნეობიდან მეორეში გადადის, იმ საწარმოს, დაწესებულებისა თუ მეურნეობის ადმინისტრაციის თანხმობით სადაც იგი მუშაობს;

გ) შეგირდისა იმ შინამრეწველთან და ხელოსანთან, რომელიც მეშაობს ხელმარტოდ ან არა უმეტეს, ვიდრე ორი დაქირავებული მუშის დახმარებით;

დ) მოჯამაგირე-კაცისა და მოჯამაგირე-ქალისა ინდივიდუალურ საგლეხო შრომითს მეურნეობაში და მწყემსისა—საგლეხო მეურნეობაში;

ე) შინა-მოსამსახურე ქალისა;

ვ) სხვა მომუშავისა, შრომის ორგანიებთან ცალკე შეთანხმების საფუძველზე.

იმ თანამდებობათა ნუსხას, რომელთათვისაც, „ა“ პუნქტის შესაბამისად, დამქირავებელს ნებადართული აქვს მომუშავე უშუალოდ დაიქირაოს, აგრეთვე ამა მუხლის „ვ“ პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების დადების წესს დაადგენს სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატი“.

„34. შრომის ხელშეკრულობა დაიდება:

ა) განსაზღვრული ვადით, არა უმეტეს სამი წლისა;

ბ) არა-განსაზღვრული ვადით;

გ) რაიმე სამუშაოს შესასრულებლად საჭირო დროისთვის“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. მარტის 11.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

51. ახალი მშენებლობისა და კაპიტალური რემონტისათვის, აგრეთვე პირვანდელი და დამატებითი გაწყობილობისათვის ხარჯთაღრიცხვებში პარაგრაფებსა და მუხლებს შუა კრედიტების გადატან-გადმოტანის შესახებ.

ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების 32 მუხლის შესაცელელად (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე 18 №-ი, მუხ. 166 და 1930 წ. მე-4 №-ი, მუხ. 34) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ახალი მშენებლობისა და კაპიტალური რემონტისათვის, აგრეთვე პირვანდელი და დამატებითი გაწყობილობისათვის ხარჯთაღრიცხვებში პარაგრაფებსა და მუხლებს შუა კრედიტების გადატან-გადმოტანა შეიძლება წლის განმავლობაში მხოლოდ კრედიტების მთავარ განმკარგულებელთა შეთანხმებით ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან—კუთვნილებისამებრ.

ამ კრედიტების გადატან-გადმოტანა იმ ვადის განმავლობაში, რა ვადითაც განგრძობილია კრედიტების მოქმედება, აკრძალულია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1931 წ. მარტის 11.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

52. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 34^{16} მუხლის შეცვლისა და ამავე კოდექსისათვის 68^{1} მუხლის დამატების შესახებ.

„წვიმისა და სხვა ატმოსფერულ მოვლენათა მიზეზით მუშაობის გაცდენისათვის სასყიდლის გაღების შესახებ“ და „სასეზონო მუშაობის დროს მუშაობის გაცდენისათვის სასყიდლის გაღების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 23-ის დადგენილების თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 34^{16} მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„34^{16}. უკეთუ დაქირავებულმა არ იმუშაა საორგანიზაციო-საწარმოო ხასიათის მიზეზით (მასალის და ინსტრუმენტების მიწოდების შეფერხება, მანქანის გაჩერება და სხვ.), მას სამუშაო ხელფასი გაცდენილი დროისათვის მიეცემა:

ა) უკეთუ გაცდენა გაგრძელდა არა უმეტეს 12 დღისა—სატარიფო განაკვეთის მიხედვით;

ბ) უკეთუ გაცდენა გაგრძელდა 12 დღეზე მეტი ხნით—მხარეთა შეთანხმებისამებრ განსაზღვრული რაოდენობით.

უკეთუ მუშაობა შეწყდა წვიმისა და სხვა ატმოსფერული მოვლენის გამო, სამუშაო ხელფასი გაცდენილი დროისათვის გაიცემა მხარეთა შეთანხმებისამებრ განსაზღვრული რაოდენობით“.

2. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსს დაემატოს 68^{1} მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„68^{1}. უკეთუ შეუძლებელი იყო მუშაობა წვიმის ან სხვა ატმოსფერული მოვლენის გამო, სამუშაო ხელფასი გაცდენილი დროისათვის მუდმივ მომუშავეს მიეცემა სატარიფო განაკვეთის მიხედვით“.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს ნუსხა იმ თავისი დადგენილებებისა, რომელთაც დაკარგეს ძალა ამა დადგენილების გამოცემის გამო.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. მარტის 11.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

53. 1931 წელს ბამბის კონტრაქტაციის შესახებ.

რადგანაც ბამბის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადება უაღრესი მნიშვნელობის სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიაა, რომლის წარმატებით ჩატარებაზე დამოკიდებულია ყველა იმ ამოცანის სავსებით შესრულება, რაც ბამბის ფართობის და მოსავლიანობის გადიდებას ეხება, და რომ ამ კამპანიის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი ზრდისათვის და 1931 წელს საბამბე რაიონებში მეურნეობათა 50%-ის კოლექტივიზაციით მოცვისათვის,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო:

ა) ავალებს საბამბე რაიონების საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციებს, კოოპერატიულ და საადგილმამულო ორგანოებს მოახდინონ თავიანთი ძალების სრული მობილიზაცია ამ მუშაობის ჩატარებისათვის და ფართოდ გაშალონ მასსიური მუშაობა კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეთა მასსებში ბამბის საკონტრაქტაციო კამპანიის ამოცანების გარშემო;

ბ) საჭიროდ სთვლის გააფართხილოს საბამბე რაიონების ყველა ორგანიზაცია, რათა არ განიმეორონ, სულ მცირედაც არის, შარშანდელი სერიოზული შეცდომანი ბამბის კონტრაქტაციის საქმეში, რაც იმაში გამოიხატა, რომ ძალიან სუსტი იყო საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, არ არსებობდა კოლექტიურ მეურნეობათა კავშირებისა, სამებამბეო კოოპერატიული კავშირებისა, სასოფლო საბჭოებისა და საწარმოო ამხანაგობების კონტროლი დადებულ ხელშეკრულებათა შესრულებისათვის, ხელოვნურად იყო გაბერილი ცნობები საკონტრაქტაციო ფართობების შესახებ, ზოგიერთ ადგილებში დადებულ იქნა ფიქტიური ხელშეკრულობანი და სხვ.;

გ) ავალებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველჰყონ სამუდამდღეო სისტემატიური ხელმძღვანელობის გაწევა საკონტრაქტაციო ხელშეკრულობების დადების კამპანიისათვის და დაამყარონ სარაიონო სამებამბეო კავშირებისა, საწარმოო ამხანაგობებისა და სასოფლო საბჭოების სასტიკი კონტროლი აღნიშნული ხელშეკრულობების შესრულებისათვის ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნეობების მიერ და აგრეთვე კოლექტიურ მეურნეობათა კავშირებისა და სასოფლო საბჭოების ასეთივე კონტროლი კოლექტიურ მეურნეობების მიერ ხელშეკრულობების შესრულებისათვის.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განისაზღვროს შემდეგი დავალებანი კონტრაქტაციისათვის:

ა) ბამბის ნათესი ფართობისათვის (ჰექტარობით):

	კოლექტიური მეურნეობანი	ინდივიდუალური მეურნეობანი	ჯ ა მ ი
აზერბაიჯანის სსრ	95.200	97.300	192.500
სომხეთის სსრ	15.050	8.850	23.900
საქართველოს სსრ	4.750	9.450	14.200
სულ ა/კსფსრ-ში	115.000	115.600	230.600

ბოგარული ფართობი აზერბაიჯანის სსრ-ში—1.000 ჰექტ. და საქართველოს სსრ-ში—300 ჰექტ.

ბ) ერთი ჰექტარის მოსავლიანობა მიღწეულ უნდა იქნეს (კილოგრამმობით):

	კოლექტიური მეურნეობანი	ინდივიდუალური მეურნეობანი	ბოგარი
აზერბაიჯანის სსრ	816	786	300
სომხეთის სსრ	1.120	1.100	—
საქართველოს სსრ	650	630	—

დაევალოს ამიერკავკასიის სამებამბეო კომიტეტს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირს (სამებამბეო კოოპერაციის ხაზით)—ხუთი დღის ვადაზე აცნობონ ქვედა ორგანიზაციებს ბამბის მოსავლიანობის ის რაიონობითი ნორმა, რაც უნდა იქნეს დაკონტრაქტებული.

გ) ნედლი ბამბის პროდუქციის მოკრეფა (ტონნობით):

	კოლექტიური მეურნეობანი	ინდივიდუალური მეურნეობანი	ჯ ა მ ი
აზერბაიჯანის სსრ	17.404	76.264	153.668
სომხეთის სსრ	16.856	9.735	26.591
საქართველოს სსრ	3.017	5.920	8.937
სულ ა/კსფსრ-ში	97.277	91.919	189.196

2. ბამბის კონტრაქტაცია დაწყებულ იქნეს დაუყოვნებლივ და დამთავრებულ იქნეს ყველა რაიონში არა უგვიანეს აპრილის 15-სა.

3. სავალდებულოდ იქნეს მიჩნეული, რათა ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებში საკონტრაქტაციო ხელშეკრულობები დაიდვას თვითეულ მთესველთან ცალკეულად საწარმოო ამხანაგობის მეშვეობით; თანაც საკონტრაქტაციო ხელშეკრულობები განხილულ უნდა იქნეს ბამბის მთესველთა მასსებში.

რაც შეეხება კოლექტიურ მეურნეობათ, სავალდებულოა, რომ საკონტრაქტაციო ხელშეკრულობები განიხილოს კოლექტიური მეურნეობის წევრთა საერთო კრებამ; ამასთანავე ხელშეკრულობას კოლექტიური მეურნეობის გამგეობა ხელს მოაწერს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საერთო კრება დაამტკიცებს ხელშეკრულობას.

4. ბამბის კონტრაქტაცია სწარმოებს კოლექტიურ მეურნეობათა და ღარიბ და საშუალო მეურნეობათათვის ნისიად კარგი თვისებისა და გაუმჯობესებული თესლის მიცემით, რაც საპირო იქნება დასათესად, აგრეთვე ფულადი ავანსების მიცემით.

5. კულაკურ-შეძლებულ მეურნეობათა ავანსირება არა სწარმოებს; ისინი ბამბას სთესენ სავალდებულო შეკვეთის წესით.

კულაკურ-შეძლებული მეურნეობანი მტკიცე დავალებებით მოცულ უნდა იქნენ მეურნეობათა საერთო რიცხვის 3-დან 7 პროცენტამდე. მოსავლიანობის ნორმა ამ მეურნეობათათვის გადიდებულ უნდა იქნეს 10%-ით უწყებულ სოფლად მიღებულ საშუალო მოსავლიანობასთან შედარებით.

მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს განსაზღვრონ ერთი დეკადის ვადაზე ცალკეულ რაიონებში იმ კულაკურ-შეძლებულ მეურნეობათა რიცხვი, რომელთაც უნდა მიეცეთ მტკიცე დავალებანი და დაენიშნოთ ნორმები დასათესი ფართობებისა.

6. მთესველებთან დასადებ ხელშეკრულობებში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი მათი ვალდებულებანი (კოლექტიური მეურნეობებისა და ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნეობებისა):

ა) თესვის სავსებით დამთავრება არა უგვიანეს მაისის 10 სა, ისეთი ვარაუდით, რომ მებამბეობის სარაიონო კავშირების მიერ მთესველებთან დადებულ ხელშეკრულობებში განსაზღვრულ იქნეს თესვის დაწყებისა და დამთავრების ვადები უწყებულ რაიონში;

ბ) კონტრაქტანტების თავის დროზე მიწის მოხვნა ბამბის დასათესად; განსაზღვრულ ვადაზე პირველი, მეორე და მესამე გამარგვლისა და კულტივაციის ჩატარება და აგრეთვე ნათესის გაფხვიერება;

გ) ბამბის აუცილებლად მორწყვა განსაზღვრულ ვადაზე; ყველგან ღამღამობითაც მორწყვის გამოყენება;

დ) თავის დროზე—განსაზღვრულ ვადაზე—მთელი ბამბის მოკრეფა ხარისხობით, ისეთი ვარაუდით, რომ ბამბა მთლად მოკრეფილ და ჩაბარებულ იქნეს არა უგვიანეს დეკემბრის 20-სა:

ე) მთესველების მიერ საკუთარი მუშა-ხელისა და საწევი ძალის სავსებით გამოყენება ხვნისა, თესვისა, მარგვლისა, კულტივაციისა და ბამბის მოკრეფის პერიოდებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) ყველა საკონტრაქტაციო თანხის დადგენილ ვადაზე დაბრუნება.

7. ამავე დროს მთესველებთან დადებულ ხელშეკრულობებში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი ვალდებულებანი, რასაც კისრულობენ ამიერკავკასიის სამებამბეო კომიტეტი და სამებამბეო კოოპერაცია:

ა) მთესველებისათვის თავის დროზე კარგი თესლების თესლის მიცემა დასათესად:

ბ) თავის დროზე საავანსო თანხების (მუხ. 10) გაცემა;

გ) საკომპლექსო ღონისძიებათა რაიონებში მთესველებისათვის კონტრაქტაციის პერიოდში ნარევ სასუქთა იმ ნორმებით და იმ შედგენილობით მიეცემა, რასაც ცალკეული რაიონებისათვის განსაზღვრავს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი;

დ) თავის დროზე ანგარიშის გასწორება ჩაბარებული ნედლი ბამბისათვის;

ე) პერით მთესველების უზრუნველყოფა.

8. დაკონტრაქტებულ ტონნა ნედლი ბამბაზე ფუღადი ავანსირების ნორმა განსაზღვრულ იქნეს: კოლექტიურ მეურნეობათათვის 62 მან. და 70 კაპ., ხოლო ინდივიდუალურ მეურნეობათათვის 48 მან. და 11 კაპ.

ბოგარული და ნახევრად-ბოგარული ნათესებისათვის ავანსების ნორმა დაწესებულ იქნეს 50%-ით გადიდებული რაოდენობით სარწყავი რაიონებისათვის დადგენილ ნორმებთან შედარებით.

9. ფუღადი ავანსების დადგენილი ნორმების შესაბამისად ფონდი ბამბის საკონტრაქტაციოდ განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

აზერბაიჯანის სსრ	8.134.000 მან.
სომხეთის სსრ	1.474.000 მან.
საქართველო სსრ	452.000 მან.
ს უ ლ	10.060.000 მან.

დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—არ გაადიდონ დადგენილი ავანსირების ფონდი.

10. ავანსების გაცემა სწარმოებდეს 3 ვადაზე:

დათესვის წინ	20%-ი.
ფაქტიური დათესვის შემოწმების შემდეგ, პირველი მარგვლისა და კულტივაციის წინ	30%-ი.
მესამე მარგვლისა და კულტივაციის წინ	50%-ი.

მესამე მარგვლისა და კულტივაციის წინ ავანსები გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ შესრულებულია პირველი და მეორე მარგვლა და კულტივაცია.

11. გარანტირებული მოპარაგება პერით 1931 წ. ჩატარებულ უნდა იქნეს კოლექტიურ მეურნეობათა და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობათა მიმართ, რისთვისაც მთლად ა/კსფსრ საბამბე რაიონები უნდა დაიყოს შემდეგ სამს ზოლად:

1-ლი ზოლი—რაიონები, სადაც აკრძალულია მარცვლეული კულტურების თესვა (მექანიკური მორწყვის რაიონები);

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-2 ზოლი—სომხეთის სსრ და ნახიჩევანის სსრ;

მე-3 ზოლი—აზერბაიჯანის სსრ (მექანიკური მორწყვის მქონე რაიონების გარდა) და საქართველოს სსრ.

12. პური უნდა გაიცეს დაკონტრაქტებული და ფაქტიურად ჩაბარებული ნედლი ბამბის რაოდენობის მიხედვით, პურით მომარაგების ნორმების სექტორებზე დიფერენციაციით.

დაწესებულ იქნეს პურით მომარაგების შემდეგი ნორმები ერთ ცენტნერ დაკონტრაქტებულ ნედლ ბამბაზე (კილოგრამობით):

	კოლექტ. მეურნეობა	ინდივ. ფერმერები და საშუალო მეურნეობა
1-ლი ზოლი—რაიონები, სადაც აკრძალულია მარცვლეული კულტურების თესვა (მექანიკური მორწყვის რაიონები)	54,0	41,0
მე-2 ზოლი—სომხეთის სსრ და ნახიჩევანის სსრ . .	49,5	38,0
მე-3 ზოლი—აზერბაიჯანის სსრ (მექანიკური მორწყვის მქონე რაიონების გარდა) და საქართველოს სსრ	39,0	30,0

აღნიშნული ნორმების შესაბამისად პურის საერთო კონტინგენტი, რაც საჭიროა 1931 წელს ნორმალურად პურით მომარაგებისათვის, განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით (ტონნობით):

აზერბაიჯანის სსრ-თვის	52.390 ტონნა
ნახიჩევანის სსრ-თვის	3.860 ტონნა
სულ აზერბაიჯანის სსრ თვის	56.250 ტონნა
სომხეთის სსრ-თვის	11.800 ტონნა
საქართველოს სსრ-თვის	2.950 ტონნა
სულ ა/კსფსრ-თვის	71.000 ტონნა.

13. პური უნდა გაიცეს ძირითად საწარმოო პროცესებთან შეფარდებულ ვადებზე:

ა) კონტრაქტაციისა და თესვის პერიოდში 20% დადგენილი პურის ნორმისა;

ბ) ნათესისა და პირველი მარგვლის და კულტივაციის შემოწმების შემდეგ . . . . . 15% იმავე ნორმისა;

გ) მესამე მარგვლისა და კულტივაციის დამთავრების შემოწმების შემდეგ . . . . . 15% იმავე ნორმისა;

დ) ბამბის დამზადების პერიოდში—ნედლეულის ჩაბარების კვალობაზე . . . . . დანარჩენი რაოდენობა.

შენიშვნა. იმ მეურნეობას, რომელიც მარგვლას და კულტივაციას აწარმოებს ბამბის ნათესის არა-მთელ ფართობზე, პური ყოველთვის ეძლევა ფაქტიურად დამუშავებული ფართობის ვარაუდით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლექტიურ მეურნეობაში მიღებული პურის შიგნით განაწილება მოხდება იმ შ[illegible]-დღეების რაოდენობის სრული შესაბამისობით, რაც კოლექტიური [illegible]ურნეობის წევრებმა და მათმა ოჯახებმა დამუშავების მოანდომეს.

14. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სამებამბეო კომიტეტს და ტრაქტორცენტრის ამიერკავკასიის განყოფილებას, ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა დამოუკიდებლად, მოაწყონ კონტრაქტანტებისათვის აგრონომიული დახმარების გაწევა სარაიონო და საუბნო აგროპუნქტების მეშვეობით.

სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის სააქციო საზოგადოების ამიერკავკასიის განყოფილებამ უნდა მოაწყოს დახმარება ბამბის მავნებლებთან ბრძოლის საქმეში, რაც უნდა უზრუნველჰყოს საჭირო აპარატებითა და შხამებით.

15. იმ ვარაუდის მიხედვით, თუ რა ქიმიური შედგენილობის სასუქები უნდა იქნეს გამოყენებული 1931 წელს და რა საშუალო ნორმაა განსაზღვრული ჰექტარზე (ე. ი. 460,4 კილოგრ.),—სასუქების საგასაცემო ფასი ბამბის მთესველებისათვის დაწესებულ იქნეს 30 მან. რაოდენობით ჰექტარზე, იმის დამოუკიდებლად, თუ რა ნომრის და რა წონის სასუქი იქნება შეტანილი მინდვრებში.

განსხვავება საგასაცემო ფასსა 30 მან. რაოდენობით ჰექტარზე და თვითღირებულებას შორის, რაც კალკულაციურად ჰექტარზე 64 მან. და 23 კაპ. ივარაუდება, მიეწეროს ამიერკავკასიის სამებამბეო კომიტეტის სპეციალური ხარჯთაღრიცხვას.

სასუქი გაიცეს ნისიად მოსავლის მოკრეფამდე და ფული დაეჩიროს ბამბის მთესველებს ჩაბარებული ბამბისათვის ანგარიშის გასწორების დროს.

16. გამოყოფილ იქნეს 16.000 ტონნა მარცვლეული ფურაჟი კოლექტიურ მეურნეობათა და ღარიბ და საშუალო მეურნეობათა მოსამარაგებლად; ამასთანავე, პირველ რიგში უზრუნველყოფილ უნდა იქნენ კოლექტიური მეურნეობანი. დაევალოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—გაანაწილოს, ამიერკავკასიის სამებამბეო კომიტეტთან და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირთან ერთად, აღნიშნული რაოდენობის მარცვლეული ფურაჟი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებზე.

მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ მომარაგებისა და მიწათმოქმედების რესპუბლიკანურ სახალხო კომისარიატებს და სამებამბეო კოოპერაციის ცენტრებს—შეიმუშაონ ერთი დეკადის ვადაზე ბამბის მთესველების მარცვლეული ფურაჟით მომარაგების წესი, ნორმები და ვადები.

17. დაევალოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს განსაზღვროს, ამიერკავკასიის სამებამბეო კომიტეტთან, სამომხმარებლო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირთან და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირთან ერთად, ხუთი დღის ვადაზე, სამრეწველო საქონლის საჭირო კონტინგენტი 21.000.000 მანეთის ფონდიდან, აგრეთვე შემოზიდვის ვადები და ბამბის მთესველების მომარაგების წესი.

18. პურისა და მარცვლეული ფურაჟის შემოზიდვა დაეკისროს პურის მრეწველობის საკავშირო შენაერთის („სოიუზხლებ"-ის) ამიერკავკასიის კონტორას, ხოლო ბამბის მთესველთა შორის განაწილება—სამებამბეო კოოპერაციას.

სამრეწველო საქონლის განაწილება დაეკისროს სამომხმარებლო კოოპერაციას.

19. პასუხისმგებლობა პურისა და სემრეწველო საქონლის თავის დროზე შემოზიდვისათვის და მეთვალყურეობა სათანადო განაწილებისათვის დაეკისროს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს.

20. დასათესი საბამბე თესლის საგასაცემო ფასი განისაზღვროს 4 კაპიკის რაოდენობით კილოგრამზე ფრანკო—ბამბის მთესველების მიერ ნედლი ბამბის ჩაბარების ადგილი.

21. იმ მუყაითი კონტრაქტანტებისა და კოლექტიურ მეურნეობების წასახალისებლად, რომელნიც თავის დროზე და საესებით ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას დათესვისა, მოვლისა, დათესილი ფართობების დამუშავებისა, მოსავლის მოკრეფისა და დაკონტრაქტებული ნედლი ბამბის ჩაბარების სფეროში, —შეიქმნას სპეციალური ფონდი, რისთვისაც გამოყოფილ იქნეს ერთი მილიონი მანეთის სამრეწველო საქონელი საერთოდ შემოზიდული კონტინგენტიდან.

ა/კსფსრ მომარაგების და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა და ამიერკავკასიის სამებამბეო კომიტეტმა ერთი დეკადის ვადაზე გამოაქვეყნონ მთესველთა დაპრემირების ნორმები და წესი.

22. ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა საკონტრაქტაციო კამპანიის ჩატარებისათვის დაეკისროს ამიერკავკასიის სამებამბეო კომიტეტსა და სამებამბეო კოოპერაციას.

23. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, დამაკონტრაქტებულ ორგანიზაციებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დაამყარონ სასტიკი კონტროლი, რათა ფაქტიურად დათესილი ფართობები დაკონტრაქტებულ ფართობებზე ნაკლები არ იყოს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლოვსკი.**

1931 წ. მარტის 1.

№ 334.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 61 №-ში 1931 წ. მარტის 4-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

54. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ქიმიზაციის კომიტეტის გაუქმების შესახებ.

ა/კსფრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ქიმიზაციის კომიტეტი და აგრეთვე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ნოემბრის 14-ის დადგენილება (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. 11 №-ი, მუხ. 207). გაუქმებულ იქნეს;

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1931 წ. მარტის 8.

№ 335.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 69 №-ში 1931 წ. მარტის 12-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

55. შეშა-ხეტყის დამზადების სადამკვრელო თვიურის ჩატარების ვადის 1931 წლის აპრილის 1-დე განგრძობის შესახებ

„შეშა-ხეტყის დამზადების სადამკვრელო თვიურის ჩატარებისა და 1931 წლის შეშა-ხეტყის დამზადების გეგმის შესასრულებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ„ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 9-ის დადგენილების მე-II მუხლის 1-ლი პუნქტის შესაცვლელად („ზარია ვოსტოკა"-ს 41 №-ი 1931 წ. თებერვლის 11-სა)—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სადამკვრელო თვიურის ჩატარების ვადა განგრძობილ იქნეს 1931 წ. აპრილის 1-დე.

2. სადამკვრელო თვიურის ჩასატარებლად მობილიზებული ყველა პირი უნდა დარჩეს ადგილობრივვე აპრილის 1-დე.

3. წინადადება მიეცეს სათანადო ორგანიზაციებს, მათი ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველჰყონ სრული განხორციელება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 9-ის დადგენილებისა „შეშა-

ხეტყის დამზადების სადამკვრელო თვიურის ჩატარებისა და 1931 წელს შეშა-ხეტყის დამზადების გეგმის შესასრულებლად საპირო ღონისძიებათა შესახებ“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. მარტის 12.

№ 337.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 17 №-ში 1931 წ. მარტის 14-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

56. რესპუბლიკანური და ადგილობრივი საგზაო ორგანოების ძირითადი ფუნქციების შესახებ.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ახალ ადმინისტრატიულ დაყოფასთან დაკავშირებით და „გზათა სახალხო კომისარიატთან არსებული გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 59 №-ი, მუხ. 630) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოებს დაეკისრებათ— განაბორიციელონ სათანადო ტერიტორიის ფარგლებში, ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობით და გზათამშენებლობისა და საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებისათვის დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

ა) უშუალოდ განაგონ საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზატკეცილები და ყამირგზები, გაუწიონ რეგულირება და ზედამხედველობა საავტომობილო მეურნეობას და აგრეთვე ხელმძღვანელობა გაუწიონ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საგზაო ორგანოებს მათ მიერ სათანადო ავტონომიური რესპუბლიკისა და ოლქის ტერიტორიაზე აღნიშნული ფუნქციების განხორციელების სფეროში;

ბ) აწარმოონ კაპიტალური მშენებლობა (ახალი მშენებლობა, სააღმდგენო სამუშაოები და კაპიტალური რემონტი) საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აწარმოონ საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების მიმდინარე რემონტი და მოუარონ ამ გზებს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ტერიტორიის გამოკლებით;

დ) ხელმძღვანელობა გაუწიონ ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების საგზაო ორგანოებს მათ მიერ საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების მიმდინარე რემონტის წარმოების სფეროში;

ე) გაუწიონ ინსტრუქტირება და ინსპექტირება ადგილობრივ საგზაო ორგანოებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალური მშენებლობისა, რემონტისა და მოვლა-შენახვის სფეროში; ავრეთვე ხელი შეუწყონ ამ ორგანოებს აღნიშნული ფუნქციების შესრულების საქმეში;

ვ) იქონონ საერთო ტეხნიკური ზედამხედველობა მთლად საგზაო მშენებლობისათვის, რასაც სათანადო რესპუბლიკის ტერიტორიაზე აწარმოებენ სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

ზ) შეადგინონ გზათამშენებლობის რესპუბლიკანური საპერსპექტივო და საწარმოო გეგმები და ზედამხედველობა გაუწიონ ადგილობრივი და საგზაო ორგანოებისა და სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ ამ გეგმების შესრულებას.

შენიშვნა. სათანადო უწყებასთან, ორგანიზაციასთან და საწარმოსთან ან სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით, ისეთი გზების კაპიტალური მშენებლობა, რომლებიც უშუალო მომსახურეობას უწევენ ცალკეულ უწ.ებას. ორგანიზაციას და საწარმოს, ან ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალური მშენებლობა შეიძლება განხორციელებულ იქნეს აკსესარ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის გზატკეცილებისა, უამრგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს მიერ, რომელსაც გადაეცემა ადგილობრივი საგზაო ფონდიდან ხარჯთაღრიცხვით და სამრეწველო-საფინანსო გეგმით გადადებული სათანადო სახსარი.

2. 1-ლი მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნულ ფუნქციებს გზატკეცილებისა, უამრგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოები ანხორციელებენ თავიანთი სახაზო უბნების მეშვეობით.

შენიშვნა. სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომქმედი საგზაო-სამშენებლო კონტორების ორგანიზაციამდე, საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზების კაპიტალურ მშენებლობას და საღმდგენო რემონტს ანხორციელებენ გზატკეცილებისა, უამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოები თავიანთი სახაზო საგზაო უბნების ან სამუშაოების ცალკეულ მწარმოებელთა მეშვეობით.

3. ავტონომიური რესპუბლიკების გზატკეცილებისა, უამრგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოებს და ავტონომიური ოლქების საგზაო განყოფილებებს დაეკისრებათ—განახორციელონ სათანადო ტერიტორიის ფარგლებში საერთო-საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების უშუალო გამგებლობა, მიმდინარე რემონტი და მოვლა-შენახვა, გაუწიონ რეგულირება

საავტომობილო მეურნეობას და აგრეთვე ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა გაუწიონ მათ ქვემდებარე ადგილობრივ საგზაო ორგანოებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა, რემონტისა და მოვლა-შენახვის საქმეში.

4. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების იმ ორგანოებს, რომელნიც საგზაო მეურნეობას განაგებენ, დაეკისრებათ—განახორციელონ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების უშუალო გამგებლობა, მშენებლობა, რემონტი და მოვლა-შენახვა.

5. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 23-ის თარიღისა და 246 №-ის დადგენილება „ა/კსფსრ ტერიტორიაზე საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო საქმის გამგებელი ადგილობრივი ორგანოების მოწყობის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-10 №-ი, მუხ. 114) ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეიტანონ, ერთი თვის ვადაზე, ამ რესპუბლიკების კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. მარტის 12.
№ 338.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

57. ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

„გზათა სახალხო კომისარიატთან არსებული გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს დებულების დამატკიცების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 59 №-ი, მუხ. 630)—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს.

I.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 9-ის დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში „ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-8 №-ი, მუხ. 70) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1-ლი და მე-5 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„1. ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო, გზათა სახალხო კომისარიატთან არსებული გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს საერთო ხელმძღვანელობით, ანხორციელებს ა/კსფსრ ტერიტორიაზე:

ა) გზატკეცილებისა და ყამირგზების მშენებლობისა, შენახვისა და რემონტის ხელმძღვანელობას;

ბ) საავტომობილო მეურნეობის რეგულირებას და ზედამხედველობას.

„5. ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს საგანს შეადგენს:

ა) გაუწიოს ხელმძღვანელობა, ინსტრუქტირება და ინსპექტირება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების მუშაობას და აგრეთვე გაუწიოს ზედამხედველობა მათ მოქმედებას;

ბ) შეიმუშაოს ა/კსფსრ საგზაო და საავტომობილო მეურნეობის განვითარების საკითხები;

გ) შეადგინოს და განიხილოს საერთო-საკავშირო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სია და წარმართოს იგი დასაბუთებულად კანონით დადგენილი წესისამებრ; შეიმუშაოს ა/კსფსრ-ში გზათამშენებლობის საკონტროლო ციფრები; შეათანხმოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საგზაო მეურნეობის საპერსპექტივო და საწარმოო გეგმები და შეადგინოს, ამ გეგმებისა და ამიერკავკასიის ორგანიზაციების განცხადებების საფუძველზე, ა/კსფსრ საგზაო მეურნეობის საპერსპექტივო და წლიური გეგმები; გაუწიოს საგზაო ორგანიებს ინსტრუქტირება ამა მუხლში აღნიშნულ საკითხებზე და იქონიოს მეთვალყურეობა მათ მიერ გზათამშენებლობის გეგმების შესრულებისათვის;

დ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ტეხნიკურ ძიებლობასა და ეკონომიურ კვლევას საგზაო და საავტომობილო მეურნეობის სფეროში, აგრეთვე დაანაწილოს გზები კატეგორიებად, წარმართოს საგზაო მეურნეობის ინვენტარიზაციისათვის წარმოებული მუშაობა, შეადგინოს ყველა კატეგორიის გზების საერთო რუქები და ეკონომიური რუქები;

ე) გაუწიოს საერთო ტეხნიკური ზედამხედველობა გზათამშენებლობას, რასაც ა/კსფსრ ტერატორიაზე ანხორციელებენ როგორც მთავარი სამმართველოს ქვემდებარე რესპუბლიკანური და ადგილობრივი საგზაო ორგანიები, ისე სხვა სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები; გაუწიოს აგრეთვე ზედამხედველობა მათ მიერ, გზათა მშენებლობის განხორციელების დროს, არსებული სატეხნიკო-ეკომომიური ნორმებისა, მზომებისა და ამ გზებზე მდებარე ნაგებობების მოწყობის, შენახვის გამოყენების, რემონტის და დაცვის წესების შესრულებას; ხელი შეუწყოს საგზაო ორგანიებს გზების გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებაში; მეთვალყურეობა და დახმარება გაუწიოს გზათამშენებ-

ლობაში მოსახლეობის ძალებისა და სახსარის სისტემატიურ და გეგმაშეწონილ ჩაბმას;

ვ) მოაწყოს ა/კსფსრ-ის მომარაგება ავტოტრანსპორტით; შეარჩიოს ავტო-მანქანების ტიპები; განაზორციელოს ღონისძიებანი საგზაო სამუშაოთა მექანიზაციისათვის; დაგეგმოს და მოაწესრიგოს მომარაგება და გზათამშენებლობაში საგზაო მსნქანებისა, ჟიურვებისა და ინვენტარის გამოყენება;

ზ) შეიმუშაოს კანონპროექტები, რაც ა/კსფსრ ფარგლებში მოაწესრიგებს საგზაო მეურნეობასა და საავტომობილო საქმეს, და წარუდგინოს ეს კანონ-პროექტები ა/კსფსრ სახალხო კომისარიატ საბჭოს დასამტკიცებლად ან დასა-დასტურებლად; მეთვალყურეობა გაუწიოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის იმ კანონმდებლობისა და აგრეთვე სსრკ-ის გზათა სახალხო კომი-სარიატისა და ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს იმ განკარგულებათა შესრულებას, რაც აწესრიგებს საგზაო მეურნეობას და საავტომობილო ტრანსპორტს;

თ) განაგოს ამიერკავკასიის საგზაო ფონდი; ხელმძღვანელობა გაუწიოს მის გამოყენებას და მეთვალყურეობა იქონიოს ამ ფონდის სათანადო ხარჯვისათვის;

ი) შეიმუშაოს, განიხილოს და დამტკიცოს, გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს მიერ დადგენილ ფარგლებში, საგზაო ნაგებობათა პროექტების ტეხნიკური ნორმები და ტიპები; დამტკიცოს, დადგენილი ლიმიტების ფარგლებში, გზათამშენებლ-ბის პროექტები; აგრეთვე დამტკიცოს ტეხნიკურად განსაკუთრებით რთულ საგზაო ნაგებობათა პროექტები; განაწილოს რესპუბლიკანურ საგზაო ორგანოებს შორის დეფიციტიანი საშენი მასალა;

კ) აწარმოოს სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა და ხელი შეუწყოს რესპუ-ბლიკანურ საგზაო-საავტომობილო ორგანოებს ასეთ მუშაობაში, რასაც ისინი აწარმოებენ სსრკ-ის გზათა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი სამეცნი-ერო კვლევათა საერთო გეგმისა და მისივე დირექტივების თანახმად;

ლ) გამოარკვიოს მოთხოვნილება ტეხნიკური მუშა-ძალებისადმი გზათა-მშენებლობისა და საავტომობილო საქმისათვის; დაგეგმოს, აღნუსხოს, გამოიყე-ნოს და მოამზადოს კადრები საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო ტრანს-პორტისათვის და ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ საკითხში რესპუბლიკანურ საგ-ზაო ორგანოებს; ხელმძღვანელობა გაუწიოს შრომის ტეხნიკურ ნორმირებას საგზაო მეურნეობასა და საავტომობილო საქმეში;

მ) შეჰკრიფოს საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო საქმისათვის სა-ჭირო საღრუსხვო ცნობები;

ნ) შეიმუშაოს ა/კსფსრ ავტო-მოტო-მანქანების აღნუსხვის ცნობები;

ო) შეადგინოს ა/კსფსრ-ის ავტოტრანსპორტით მომარაგების საპერსპექტივო და წლიური გეგმები;

პ) შეიმუშაოს, მრეწველობის ორგანოებთან ერთად, ავტომშენებლობის საკითხები;

ჟ) მიიღოს მონაწილეობა ა/კსფსრ-ში შემოზიდული ავტო-მოტო-მანქანე-ბისა და მათი სათადარიგო ნაწილების განაწილებაში;

244

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ) გაუწიოს საავტო-ტრანსპორტო საწარმოთა და ავტო მეურნეობათა მუშაობას ინსტრუქტირება, ინსპექტირება და ზედამხედველობა, რასაც იგი (სამართველო) განახორციელებს ფედერატიული მნიშვნელობის საავტო-ტრანსპორტო საწარმოთა მიმართ—უშუალოდ, ხოლო დანარჩენ საავტო-ტრანსპორტო საწარმოთა და მეურნეობათა მიმართ—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების მეშვეობით;

ს) შეიმუშაოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე ავტო-მოტო-ტრანსპორტის ექსპლოატაციის საკითხები—რესპუბლიკანური ავტო-მეურნეობათა და ავტო-საწარმოთა სამმართველოების მიერ წარდგენილი მასალებისა და საინსპექტორო კვლევით და სამეცნიერო შესწავლით მოპოებული ცნობების თანახმად;

ტ) გამოიკვლიოს სხვადასხვა ტიპისა და მარკის ავტო-მოტო-მანქანების მუშაობა ა/კსფსრ ფარგლებში და მისცეს დასკვნები ამ საკითხის გამო;

უ) შეიმუშაოს საავტო-ტრანსპორტო ბეგარასთან დაკავშირებული საკითხები;

ფ) მოიწვიოს ყრილობები და თათბირები ა/კსფსრ საგზაო და საავტომობილო მეურნეობის საკითხებისათვის და აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ მოწვეულ ყრილობებსა და თათბირებში;

ქ) შეადგინოს პერიოდული და საერთო ანგარიშები ა/კსფსრ-ში საგზაო და საავტომობილო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ და ამ მეურნეობის გამგე ორგანოების მოქმედების თაობაზე;

ღ) შეისწავლოს საკონცესიო ობიექტები საგზაო და საავტომობილო საქმის სფეროში;

ყ) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი საგზაო მეურნეობისა და საავტომობილო ტრანსპორტის რეკონსტრუქციისა და რაციონალიზაციისათვის".

II

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეიტანონ, ერთი თვის ვადაზე, ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკანური სამმართველოების დებულებებში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. მარტის 12.
№ 341.
ტფილისი.

მთავლიტი 917. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართვ. სტამბა. ტირაჟი 1.400.